ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1519061

ნომერი: AR1254258

თარიღი : 30.09.2014

გაცემის თარიღი : 22.10.2014

გაცნობის თარიღი : 22.10.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კრონშტანტი , (ცაგარელის) N72 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ცაგარელი , N 70 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გამყრელიძე პ/ნ 01017041896
- თბილისი ვ.კოტეტიშვილის შეს. N 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 30 სექტემბერს #AR1254258 განცხადებით მომართა გიორგი გამყრელიძემ და მოითხოვა სამსახურის 2014 წლის 08 სექტემბრის #1464439 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან

დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 26 ივნისის #1351755 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი–საბურთალო, ქუჩა კრონშტანტი, (ცაგარელის) 72/ ქუჩა ცაგარელი #78–ში შპს "სამშენებლო კომპანია მერკური ჯგუფი"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.10.14.022.012) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 25 ივნისიდან 2017 წლის 25 ივნისის ჩათვლით. ხოლო, სამსახურის 2014 წლის 08 სექტემბრის #1464439 ბრძანებით ცვლილება შევიდა ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 26 ივნისის #1351755 ბრძანებაში, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდა – 5792.2 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად – 3172.3 კვ.მ, კომერციულ ფართობად – 360.9 კვ.მ, საზაფხულო ფართობად – 625.1 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად– 768.7 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობად – 423 კვ.მ. დანარჩენ ნაწილში 2014 წლის 26 ივნისის #1351755 ბრძანება დარჩა უცვლელი. შესაბამისად, საერთო ფართობის დაჯამებისას გათვალიწინებულ უნდა იქნას ასევე სარდაფის ფართობი – 442.2 კვ.მ.

სამსახურმა ცვლილების შედეგად ჩამოყალიბებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები დააჯამა, შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს და დაადგინა, რომ საერთო ფართობი სწორად არის დაფიქსირებული 2014 წლის 26 ივნისის #1351755 ბრძანებაში და შეადგენს – 5792.2 კვ.მ–ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, და ვინაიდან 2014 წლის 08 სექტემბრის #1464439 ბრძანების გამოცემის დროს ტექნიკური შეცდომის დაშვება არ მომხდარა და შეცვლილი და შეუცვლელი ფართობების ჯამი ნამდვილად შეადგენს 5792.2 კვ.მ–ს, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა 2014 წლის 08 სექტემბრის #1464439 ბრძანებაში ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
